# ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №13
2024 წლის 16 დეკემბერი

ქ. ქარელი

**ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 დეკემბრის №23 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

შეტანილ იქნას ცვლილება ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 1 დეკემბრის №23 დადგენილებაში „ქარელის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge 04/12/2023 190020020.35.144.016443) და დადგენილების დანართი №1 შეიცვალოს ახალი დანართი №1- ით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — ჯუმბერ შუბითიძე

დანართი №1

## ქარელის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტი

## თავი I
## ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

### მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათ. ლარი

| დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | მათ შორის (2024წ) | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 27330,29 | 30660,50 | 36669,30 | 12648,4 | 24020,9 |
| გადასახადები | 16676,91 | 18560,96 | 19797,20 | 0,0 | 19797.2 |
| გრანტები | 8458,01 | 9737,15 | 13098,85 | 12648,4 | 450,4 |
| სხვა შემოსავლები | 2195,36 | 2362,38 | 3773,25 | 0,0 | 3773,2 |
| ხარჯები | 12514,14 | 14365,17 | 19444,04 | 1152,8 | 18291,2 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 2383,27 | 2794,31 | 3381,00 | 0,0 | 3381,0 |
| საქონელი და მომსახურება | 1455,59 | 1518,66 | 2284,76 | 952,8 | 1332,0 |
| პროცენტი | 24,51 | 18,08 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| სუბსიდიები | 6849,32 | 8607,34 | 10485,6 | 0,0 | 10485,6 |
| გრანტები | 127,62 | 187,69 | 182,20 | 0,0 | 182,2 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1116,01 | 974,58 | 1495,4 | 0,0 | 1495,4 |
| სხვა ხარჯები | 557,83 | 264,51 | 1600,07 | 200,0 | 1400,1 |
| საოპერაციო სალდო | 14816,15 | 16295,33 | 17225,25 | 11495.6 | 5729,6 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 14018,03 | 15646,72 | 22257,04 | 11671.1 | 10585,9 |
| ზრდა | 14389,60 | 16242,79 | 22637,96 | 11671.1 | 10966,9 |
| კლება | 371,57 | 596,07 | 380,92 | 0,0 | 380,9 |
| მთლიანი სალდო | 798,12 | 648,61 | -5031,78 | -175,5 | -4856,3 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 748,64 | 599,1 | -5 086,8 | -175,5 | -4911,3 |
| ზრდა | 748,64 | 599,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 748,64 | 599,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 0,00 | 0,0 | 5086,8 | 175,5 | 4911,3 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0,00 | 0,0 | 5086,8 | 175,5 | 4911,3 |
| ვალდებულებების ცვლილება | -49,48 | -49,48 | -55,0 | 0,0 | -55,0 |
| კლება | 49,48 | 49,5 | 55,0 | 0,0 | 55,0 |
| საშინაო | 49,48 | 49,5 | 55,0 | 0,0 | 55,0 |

## მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

ათ. ლარი

| დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა | მათ შორის (2024წ) | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 27 701,86 | 31256,57 | 37050,22 | 12648,43 | 24401,78 |
| შემოსავლები | 27 330,29 | 30660,50 | 36669,30 | 12648,43 | 24020,87 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 371,57 | 596,07 | 380,92 | 0,00 | 380,92 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გარეშე) | 0 | 0 | 0,0 | 0,00 | 0,00 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვალდებულებების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გადასახდელები | 26 953,22 | 30567,43 | 42137,00 | 12823,90 | 29313,10 |
| ხარჯები | 12 514,14 | 14365,17 | 19444,04 | 1152,80 | 18291,25 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 14 389,60 | 16242,79 | 22637,96 | 11671,10 | 10966,85 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გარეშე) | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებების კლება | 49,48 | 49,48 | 55,0 | 0,0 | 55,0 |
| ნაშთის ცვლილება | 748,6 | 599,1 | -5 086,8 | -175,5 | -4 911,3 |

## მუხლი 3. ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 36 669,30 ათ.ლარის ოდენობით:

ათ. ლარი

| დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა | მათ შორის (2024წ) | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 27 330,29 | 30660,50 | 36669,30 | 12648,4 | 24020,9 |
| გადასახადები | 16 676,91 | 18560,96 | 19797.20 | 0,0 | 19 797,20 |
| გრანტები | 8 458,01 | 9 737,15 | 13098,85 | 12648,4 | 450.40 |
| სხვა შემოსავლები | 2 195,36 | 2362,38 | 3773,25 | 0,0 | 3773,20 |

## მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 19 797,20 ათ. ლარის ოდენობით:

ათ. ლარი

| დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა | მათ შორის (2024წ) | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **გადასახადები** | 16 676,91 | 18 560,96 | 19 797,20 | 0,00 | 19 797,20 |
| ქონების გადასახადი | 1 808,44 | 1669,06 | 1 600,0 | 0,00 | 1 600,0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1 209,67 | 1000,36 | 1 200,0 | 0,00 | 1 200,0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 16,98 | 43,98 | 0,0 | 0,00 | 0,0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 325,67 | 351 | 200,0 | 0,00 | 200,0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფიზიკურ პირებიდან | 261,65 | 281,54 | 170,0 | 0,00 | 170,0 |
| იურიდიულ პირებიდან | 64,02 | 69,46 | 30,0 | 0,00 | 30,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 256,11 | 273,73 | 200,0 | 0,00 | 200,0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 47,50 | 51,32 | 20,0 | 0,00 | 20,0 |
| იურიდიულ პირებიდან | 208,61 | 222,41 | 180,0 | 0,00 | 180,0 |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | 14 868,47 | 16891,90 | 18 197,20 | 0,00 | 18 197,20 |

## მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 13 098,85 ათ ლარის ოდენობით

ათ. ლარი

| დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა | მათ შორის (2024წ) | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **გრანტები** | **8 458,01** | **9737,15** | **13 098,85** | **12648,43** | **450,42** |
| სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მოღებული გრანტები | 8 458,01 | 9737,15 | 13098,85 | 12648,43 | 450,42 |
| მიმდინარე | 767,01 | 1 066,19 | 1243,20 | 952,80 | 290,40 |
| მიზნობრივი ტრანსფერი | 767,01 | 1 066,19 | 1243,20 | 952,80 | 290,40 |
| კაპიტალური | 7 691,00 | 8670,96 | 11855,66 | 11695.66 | 160,02 |
| კაპიტალური ტრანსფერი | 7 491,00 | 8220,96 | 11237,26 | 11237,26 | 0,0 |

## მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 3 773,25 ათ ლარის ოდენობით:

ათ. ლარი

| დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა |
|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები** | **2 195,36** | **2362,38** | **3773,25** |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 399,43 | 451,56 | 370,0 |
| პროცენტები | 225,86 | 316,75 | 200,0 |
| რენტა | 173,56 | 134,81 | 170,0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 141,15 | 102,5 | 110,0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 32,41 | 32,31 | 60,0 |

| | | | |
|---|---|---|---|
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 232,73 | 292,87 | 284,80 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 215,51 | 277,42 | 270,0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 19,14 | 23,70 | 40,0 |
| მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 196,36 | 253,72 | 230,0 |
| არა საბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევ. გაყიდვები | 17,23 | 14,63 | 14,80 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 17,23 | 14,63 | 14,80 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 1 480,96 | 1 528,77 | 3 038,45 |
| ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 82,25 | 89,18 | 80,0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 82,25 | 89,18 | 80,0 |

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები თანდართული რედაქციით:

ათ. ლარი

| დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა | მათ შორის (2024წ) | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 12 514,14 | 14365,17 | 19444,04 | 1152,80 | 18291,25 |
| შრომის ანაზღაურება | 2 383,27 | 2794,31 | 3 381,0 | 0,00 | 3 381,0 |
| საქონელი და მომსახურება | 1 455,59 | 1518,66 | 2284,76 | 952,80 | 1331,96 |
| პროცენტი | 24,51 | 18,08 | 15,0 | 0,00 | 15,0 |
| სუბსიდიები | 6 849,32 | 8607,34 | 10485,63 | 0,00 | 10485,63 |
| გრანტები | 127,62 | 187,69 | 182,20 | 0,00 | 182,20 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1 116,01 | 974,58 | 1495,39 | 0,00 | 1495,39 |
| სხვა ხარჯები | 557,83 | 264,51 | 1600,07 | 200,0 | 1400,07 |

## მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 22257,04 ათ.ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 22637,96 ათ.ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ათ.ლარი

| | | | | | მათ შორის (2024წ) |
|---|---|---|---|---|---|

| | დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა | სახ.ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი | საკუთარი შემოსავლები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 00 00 | გადასახდელები | 14 389,60 | 16242,79 | 22637,96 | 11671.10 | 10966,85 |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 169,67 | 230,75 | 320,90 | 0,00 | 320,90 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა | 169,67 | 230,75 | 320,90 | 0,00 | 320.90 |
| 01 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 3,85 | 81,90 | 14,00 | 0,00 | 14,0 |
| 01 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 165,82 | 148,85 | 306,90 | 0,00 | 306,90 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 11 266,83 | 13554,06 | 18048.49 | 11404,70 | 6643.79 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 7 316,15 | 9611,86 | 11197.51 | 9645.93 | 1551.57 |
| 02 01 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია | 7 316,15 | 9611,86 | 11197.51 | 9645.93 | 1551.57 |
| 02 02 | წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2 073,88 | 1512,32 | 2178,12 | 132,38 | 2045,74 |
| 02 02 01 | სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია | 1429,01 | 1260,55 | 1465,06 | 132,38 | 1332,68 |
| 02 02 02 | კანალიზაციის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია | 0.0 | 0.0 | 27.91 | 0 | 27.91 |
| 02 02 03 | სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია | 619,39 | 251,78 | 685,15 | 0,00 | 685,15 |
| 02 03 | გარე განათება | 2,52 | 427,49 | 99,82 | 0,00 | 99,82 |
| 02 03 01 | გარე განათების მშენებლობა რეაბილიტაცია | 0,00 | 422,49 | 99,82 | 0,00 | 99,82 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 520,64 | 173,40 | 830,66 | 250,21 | 580,46 |
| 02 06 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია | 520,64 | 173,40 | 830,66 | 250,21 | 580,46 |
| 02 07 | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა | 239,44 | 233,60 | 688,21 | 0,00 | 688,21 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 02 08 | სოფლის პროგრამის მხარდაჭერა | 956,7 | 1481,76 | 2394,03 | 1016,03 | 1378,00 |
| 02 09 | ბიუჯეტში მოქალაქეთა ჩართულობის განვითარება | 0 | 0 | 660,14 | 360,14 | 300,0 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 166,89 | 1247,85 | 1296,13 | 258,38 | 1037,75 |
| 03 01 | კაპიტალური დაბანდება დასუფთავების სფეროში | 111,00 | 1191,47 | 1235,70 | 258,38 | 977,32 |
| 03 03 | მწვანე ნარგავების, სკვერების, წყლის სისტემებისა და შადრევნების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 0.0 | 50,19 | 60,43 | 0,00 | 60,43 |
| 04 00 | განათლება | 352.7 | 206.5 | 410,87 | 8.02 | 402,85 |
| 04 01 | სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია | 246.3 | 182,78 | 370.87 | 8,02 | 362.85 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 11.0 | 23.8 | 40,00 | 0,00 | 40,00 |
| 04 04 | სკოლების მშენებლობა - რეაბლიტაცია და მოსწავლეების ტრანსპორტირება | 95.45 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 05 00 | კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი. | 2433.5 | 1000,44 | 2469,90 | 0,00 | 2469,90 |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 2433.5 | 984,33 | 2456,93 | 0,00 | 2456,93 |
| 05 01 01 | მშენებლობა რეაბილიტაცია სპორტის სფეროში | 2294.7 | 971,49 | 2314.06 | 0,00 | 2314.06 |
| 05 01 02 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 138.8 | 8.99 | 141,57 | 0,00 | 141,57 |
| 05 01 04 | ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა | 0.0 | 0.0 | 1,30 | 0,00 | 1,30 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 0 | 14.11 | 12,97 | 0.0 | 12.97 |
| 05 02 02 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 0 | 0 | 2,50 | 0,00 | 2,50 |
| 05 02 05 | კულტურის ცენტრის ხელშეწყობა | 0 | 2.48 | 6,70 | 0.0 | 6,70 |
| 05 02 08 | კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანებების ადმინისტრაცია | 0 | 10.9 | 3,77 | 0.0 | 3,77 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური | 0 | 3.13 | 91,66 | 0.0 | 91,66 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | უზრუნველყოფა | | | | | |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 0 | 3.13 | 91,66 | 0 | 91,66 |

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 380,92 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ათ.ლარი

| დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| არაფინანსური აქტივების კლება | 371,57 | 596,07 | 380,92 | 0,00 | 380,92 |
| ძირითადი აქტივები | 172,70 | 254,87 | 280,92 | 0,00 | 280,92 |
| არაწარმოებული აქტივები | | | 100,0 | 0,00 | 100,0 |

## მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ათ. ლარი

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 3 424,08 | 3819,88 | 5594,34 |
| 702 | თავდაცვა | 149,74 | 177,79 | 0,0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 9 378,52 | 11767,30 | 15379.90 |
| 705 | გარემოს დაცვა | 1 863,75 | 3081,10 | 3706.90 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 3 080,54 | 2720,33 | 4459.18 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 107,25 | 142,15 | 348.96 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 4 260,98 | 5128.98 | 5527.46 |
| 709 | განათლება | 3 463,33 | 4299,86 | 5423,67 |
| 710 | სოციალური დაცვა | 1 175,54 | 1042,01 | 1641,60 |
| | სულ | 26 903,74 | 32179.42 | 42082,00 |

## მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ათ. ლარი

| დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა |
|---|---|---|---|
| საოპერაციო სალდო | 14 816,15 | 16295,33 | 17225,25 |
| მთლიანი სალდო | 798,12 | 648,61 | -5 031,78 |

## მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ათ. ლარი

| დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა |
|---|---|---|---|
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 748,6 | 599,1 | -5 086,8 |
| ზრდა | 748,6 | 5991,1 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 748,6 | 5991,1 | 0,0 |
| კლება | 0,0 | 0,0 | 5 086,8 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0,0 | 0,0 | 5 086,8 |

## მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ათ. ლარი

| დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა |
|---|---|---|---|
| ვალდებულებების ცვლილება | -49,48 | -49,48 | -55,0 |
| ზრდა | 0 | 0 | 0 |
| საშინაო | 0 | 0 | 0 |
| კლება | 49,5 | 49,5 | 55,0 |
| საშინაო | 49,5 | 49,5 | 55,0 |

## მუხლი 13. სასესხო ვალდებულებები

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით შევიძინეთ სპეც მანქანა. აღნიშნული სესხის მთლიანი მოცულობა შეადგენს 346 336 ლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტი 171 255 ლარს.

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქარელის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები იქნება 161.8 ათ ლარი, ხოლო 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 111.7 ათ. ლარი.

# თავი II

# ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ასიგნებები

## მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები და ქვეპროგრამები

01 01 საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა

ათ. ლარი

| | დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა | 3 549,31 | 3979,60 | 4911,77 |
| | ხარჯები | 3 379,64 | 3748,85 | 4590,87 |
| | შრომის ანაზღაურება | 2 383,27 | 2794,31 | 3 381,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 169,67 | 230,75 | 320,90 |
| 01 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 823,54 | 991,74 | 1069,30 |
| | ხარჯები | 819,69 | 909,83 | 1 055,30 |
| | შრომის ანაზღაურება | 660,63 | 712,11 | 824,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,85 | 81,90 | 14,0 |
| 01 01 02 | მუნიციპალიტეტის მერია | 2 576,03 | 2810,07 | 3842,47 |
| | ხარჯები | 2 410,21 | 2661,23 | 3535,57 |
| | შრომის ანაზღაურება | 1 609,58 | 1939,43 | 2 557,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 165,82 | 148,85 | 306,90 |

## 01 02 საერთო დანიშნულების ხარჯები

ათ. ლარი

| | დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 0,00 | 0,0 | 7,43 |
| | ხარჯები | 0,00 | 0,0 | 7,43 |
| 01 02 02 | წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 0,00 | 0,0 | 0,00 |
| | ხარჯები | 0,00 | 0,0 | 0,00 |
| 01 02 03 | მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა | 73,99 | 67,55 | 70,0 |
| | ხარჯები | 24,51 | 18,08 | 15,0 |
| | ვალდებულებების კლება | 49,48 | 49,48 | 55,0 |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა** | | | კოდი<br>01 02 03 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **70.0** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური | | |

| | |
|---|---|
| აღწერა და მიზანი | საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით შევიძინეთ სპეცმანქანა. აღნიშნული სესხის მთლიანი მოცულობა შეადგენს 346 336 ლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტი 171 255 ლარს. 2024 წელს მოხდება მიმდინარე ვალდებულების შემცირება, დაახლოებით, 70 ათ. ლარის ოდენობით .<br><br>**მიზანია:** საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულების ნაწილობრივ დაფარვა. |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | შემცირებული სასესხო ვალდებულება |

## ინფრასტრუქტურის განვითარება

## (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია.

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათ. ლარი

| | დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 12 453,79 | 14468,96 | 20474.22 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 7 490,64 | 9781,49 | 11567.51 |
| 02 01 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია | 7 316,15 | 9611,86 | 11197.51 |
| 02 01 02 | შიდა გზების მოვლა პატრონობა | 174,49 | 169,63 | 370,00 |
| 02 02 | წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 2 073,88 | 1512,32 | 2 178,12 |
| 02 02 01 | სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია | 1457,5 | 1260,55 | 1 465,06 |
| 02 02 02 | კანალიზაციის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია | 0 | 0 | 27,91 |
| 02 02 03 | სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია | 619,39 | 251,78 | 685,15 |
| 02 03 | გარე განათება | 755,28 | 1149,68 | 1 118,82 |
| 02 03 01 | გარე განათების მშენებლობა რეაბილიტაცია | 0,00 | 422,49 | 99,82 |
| 02 03 02 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 755,28 | 727,19 | 1 019,0 |
| 02 04 | შენობების და ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია | 157,53 | 113,63 | 125,0 |
| 02 05 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 192,6 | 23,07 | 860,21 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 520,64 | 173,4 | 862,18 |
| 02 06 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია | 520,64 | 173,4 | 862,18 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 02 07 | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა | 306,55 | 233,60 | 708,21 |
| 02 08 | სოფლის პროგრამის მხარდაჭერა | 956,7 | 1481,76 | 2 394,03 |
| 02 09 | ბიუჯეტში მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა | 0.0 | 0.0 | 660.14 |

ათ.ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** | | | კოდი<br>02 01 |
| დაფინანსება | **2024 წელი**<br>**11 567.51** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 2024 წელს ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემდეგი გზების რეაბილიტაცია-მშენებლობა:<br><br>მოხდება ასფალტირება შემდეგი გზების: აგარის, ქვენატკოცის, ფცის, ბებნისის, რუისის, საციხურის, საციხური-აბანო კოდის გზის რეაბილიტაცია ( სარიტუალო დარბაზიდან ეკლესიის მიმართულებით ) , რუისი-ბებნისის დამაკავშირებელი, ახალსოფლის ავტობანთან დამაკავშირებელი, მზოვრეთისა და საღოლაშენის. სოფ. რუისის სასაფლოებამდე მისასვლელი გზა და სხვა.<br><br>მოეწყობა ბეტონის გზები სოფლებში: რუისის, ბრეძის, კნოლევის, სასირეთის, ჭანდრების და სხვა ღონისძიებები.<br><br>აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების საფარის მოწესრიგება და სხვა სამუშაოები.<br><br>ქარელის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული შიდა საავტომობილო გზების ნაწილის შეკეთება (გზის ორმოული შეკეთება და სხვა ).<br><br>**მიზანია:** საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება. | | | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობისა და ტურისტების კომფორტული გადაადგილება, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა. უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული შიდა გზების მოვლა-პატრონობა და გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია** | | | კოდი<br>02 01 01 |
| დაფინანსება | **2024 წელი**<br>**11197.51** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 2024 წელს ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემდეგი გზების რეაბილიტაცია-მშენებლობა:<br><br>მოხდება ასფალტირება შემდეგი გზების: აგარის, ქვენატკოცის, ფცის, ბებნისის, რუისის, საციხურის, საციხური-აბანო კოდის გზის რეაბილიტაცია ( სარიტუალო დარბაზიდან ეკლესიის მიმართულებით ) , რუისი-ბებნისის დამაკავშირებელი, ახალსოფლის ავტობანთან დამაკავშირებელი, მზოვრეთისა და საღოლაშენის.<br><br>მოეწყობა ბეტონის გზები სოფლებში: რუისის, ბრეძის, კნოლევის, სასირეთის, ჭანდრების და სხვა ღონისძიებები. | | | |

| | |
|---|---|
| აღწერა და მიზანი | საქართველოს მთავრობის N2402(28.12.2023წ.) განკარგულებით განსაზღვრული პროექტების განხორციელების მიზნით ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 7 727 162 ლარი.<br><br>საქართველოს მთავრობის N550 (19.04.2024წ.) განკარგულებით განსაზღვრული პროექტების განხორციელების მიზნით ქარელის მუნიციპალიტეტს დატებით გამოეყო 855 462 ლარი.<br><br>საქართველოს მთავრობის N668 (14.05.2024წ.) განკარგულებით განსაზღვრული პროექტების განხორციელების მიზნით ქარელის მუნიციპალიტეტს დატებით გამოეყო 38 333 ლარი.<br><br>საქართველოს მთავრობის N1146 (14.08.2024წ.) განკარგულებით განსაზღვრული პროექტების განხორციელების მიზნით ქარელის მუნიციპალიტეტს დატებით გამოეყო 1000950 ლარი.<br><br>პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2023 წელს და რომლის თანხა შეადგენს 1123149,39 ლარს.<br><br>პროგრამა გაიზარდა ასევე 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულების ასახვით.<br><br>**მიზანია:** ქარელის მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად განხორციელდეს გზების სრული რეაბილიტაცია, მოსახლეობა მოძრაობდეს შეუფერხებლად, როგორც ფეხით, ასევე ტრანსპორტით. არ შეიქმნას პრობლემა უამინდობის პერიოდში გადაადგილებაზე. სოფლები ერთმანეთს დაუკავშირდნენ რეაბილიტირებული გზებით. |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობისა და ტურისტების კომფორტული გადაადგილება, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა. |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **შიდა გზების მოვლა პატრონობა** | | | კოდი<br>02 01 02 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **370.0** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | დაზიანებული და შესაკეთებელი გზები პრობლემას წარმოადგენს ფეხით მოსიარულეთათვის, ხელი ეშლება ტვირთის გადატანას, მოსახლეობის გადაადგილებას, ტურიზმის განვითარებას. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება გზების საფარის მოწესრიგება და სხვა სამუშაოები.<br><br>**მიზანია:** ქარელის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული შიდა საავტომობილო გზების ნაწილის შეკეთება (გზის ორმოული შეკეთება და სხვა ). | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული შიდა გზების მოვლა-პატრონობა და გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | | | კოდი<br>02 02 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **2 178,12** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| | პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 2024 წელს ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია და სხვა.<br><br>პროექტები განხორციელდება შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: **ქარელი, დვანი, დირბი, ახალსოფელი, კეხიჯვარი, ხვედურეთი, არადეთი, აბისი, კოდა, გულიკაანთუბანი და სხვა.** | | | |

| | |
|---|---|
| აღწერა და მიზანი | ასევე განხორციელდება: სოფელ ზებნისის მეურნეობაში, სოფელ თათანაანთ უბანში და დაბა აგარაში (საბავშვო ბაღის) საკანალიზაციო გაყვანილობის რეაბილიტაცია.<br><br>**მიზანია:** ქარელის მუნიციპალიტეტში გამართული სასმელი წყლის სიტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება. დაფარვის არეალის გაზრდა.<br><br>ქარელის მუნიციპალიტეტში თანდათანობით განხორციელდეს სარწყავ-სანიაღვრე სისტემის მოვლა-პატრონობა, მოწყობა და რეაბილიტაცია.<br><br>ქარელის მუნიციპალიტეტში თანდათანობით განხორციელდეს და გაუმჯობესდეს საკანალიზაციო სისტემები. |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | ქარელის მუნიციპალიტეტში გამართული სასმელი წყლის სიტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება. დაფარვის არეალის გაზრდა.<br><br>გაუმჯობესებული, მოწესრიგებული და მოვლილი სარწყავ-სანიაღვრე სისტემა.<br><br>საკანალიზაციო სისტემები გამართულად ფუნქციონირებს. |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია** | | | კოდი |
| | | | | 02 02 01 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **1465,06** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ქარელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, წყალმომარაგების მომსახურების ხარისხისა და დაფარვის არეალის გაზრდა, მომსახურების ეფექტური მიწოდება.<br><br>პროგრამა მოიცავს წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2023 წელს და რომლის თანხა შეადგენს 697,6 ათ. ლარს.<br><br>**მიზანია:** ქარელის მუნიციპალიტეტში გამართული სასმელი წყლის სიტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება. დაფარვლის არეალის გაზრდა. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | გაუმჯობესებული წყალმომარაგების სისტემა, სასმელი წყლით უზრუნველყოფილი მოსახლეობა, გაუმჯობესებული ხარისხი, და შეუფერხებელი წვდომა. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **კანალიზაციის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია** | | | კოდი |
| | | | | 02 02 02 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **27.91** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 2024 წელს ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: სოფელ ზებნისის მეურნეობაში, სოფელ თათანაანთ უბანში და დაბა აგარაში (საბავშვო ბაღის) საკანალიზაციო გაყვანილობის რეაბილიტაცია. საქართველოს მთავრობის განკარგულება N1060 (29.07.2024წ.) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების „ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ გამოეყო სოფელ აფნისში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები 65 000 ლარი.<br><br>**მიზანია:** ქარელის მუნიციპალიტეტში თანდათანობით განხორციელდეს და გაუმჯობესდეს | | | |

| | |
|---|---|
| | საკანალიზაციო სისტემები. |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | საკანალიზაციო სისტემები გამართულად ფუნქციონირებს. |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია** | | | კოდი<br>02 02 03 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **685,15** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | | |
| აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული<br><br>სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია და სხვა.<br><br>პროექტები განხორციელდება შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში: **ქარელი, დვანი, დირბი, ახალსოფელი, კეხიჯვარი, ხვედურეთი, არადეთი,**<br><br>**აბისი, კოდა, გულიკაანთუბანი და სხვა.**<br><br>პროგრამა მოიცავს წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2023 წელს და რომლის თანხა შეადგენს 63,05 ათ. ლარს.<br><br>**მიზანია:** გამართული შიდა სარწყავ-სანიაღვრე სისტემები. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | რეაბილიტირებული სარწყავ-სანიაღვრე არხები და შეუფერხებლად მოქმედი სისტემა. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **გარე განათება** | | | კოდი<br>02 03 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **1 118,82** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | ეკონომიკური განვითარების სამსახური; ააიპ "ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი" | | | |
| აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალი გარე განათების ქსელის მოწყობა, არსებულის მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია. ასევე, გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება.<br><br>**მიზანი:** მოწესრიგებული განათების სისტემა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წლის განმავლობაში, გარე განათების შეუფერხებელი ფუნქციონირება. მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება და სხვა. | | | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | რეაბილიტირებულია და მოწესრიგებულია გარე განათების სისტემა, მოწყობილია ახალი განათების სისტემები, დაფარულია დახარჯული ელ. ენერგიის ღირებულება. | | | |

ათ. ლარი

| | | |
|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **გარე განათების მშენებლობა, რეაბილიტაცია** | კოდი<br>02 03 01 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **99,82** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | ქარელში და სოფლების ძირითად ქუჩებზე მოწყობილია გარე განათება. დაგეგმილია დარჩენილი ქუჩებისა და ჩიხების ეტაპობრივად განათება.<br><br>პროექტის ფარგლებში ასევე განხორციელდება გარე განათების მშენებლობა-რეაბილიტაცია შემდეგ დასახლებებში: ქარელის უბნები, ბრეძა, ორთუბანი, ელბაქიაანთკარი ქარელში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, ბრეთის მეურნეობაში და სხვა.<br><br>**მიზანია:** ქარელის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში გამართული გარე განათების სისტემის არსებობა. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | განათებული ქუჩები, გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია** | | | კოდი |
| | | | | 02 03 02 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **1 019.00** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი" | | |
| აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება გარე განათების ექსპლოატაციის პერიოდში წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრა, დამწვარ-დაზიანებული ნათურების შეცვლა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება **და სხვა.**<br><br>აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდება გარე განათების ელექტრო ენერგიის ღირებულება<br><br>**მიზანი:** ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული გარე განათების ქსელის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის, ლამპიონების მოვლა-პატრონობა. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | გარე განათების სისტემა გამართულად და შეუფერხებლად მუშაობს. მოხმარებული ელექტრო ენერგიის საფასური. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **შენობების და ობიექტების მშენებლობა რეაბლიტაცია** | | | კოდი |
| | | | | 02 04 |
| დაფინანსება | 2024 წელი | | | |
| | 125,0 | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბრეთის მეურნეობაში სტიქიის შედეგად დაზიანებული შენობების სახურავების რეაბილიტაციას.<br><br>**მიზანია:** პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება. | | | |
| **საბოლოო** მოსალოდნელი შედეგი | რეაბილიტირებული შენობები. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება** | | | კოდი<br>02 05 |
| დაფინანსება | 2024 წელი | | | |
| | 860.21 | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | | |
| აღწერა და მიზანი | პროგრამიის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსებას საცხოვრებელი კორპუსების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და სხვა ღონისძიებებს.<br><br>პროგრამა მოიცავს წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2023 წელს და რომლის თანხა შეადგენს 241,7 ათ. ლარს.<br><br>**მიზანია:** პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება. | | | |
| **საბოლოო მოსალოდნელი შედეგი** | მოსახლეობის ჩართულობით მიღებული განვითარებული ამხანაგობების ინსტიტუტი.<br><br>რეაბილიტირებული შენობების შედეგად მოწესრიგებული საცხოვრებელი გარემო. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **კეთილმოწყობის ღონისძიებები** | | | კოდი<br>02 06 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **862,18** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | | |
| აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია.<br><br>პროგრამით დაგეგმილია ქარელში თამარ მეფის ქუჩაზე მემორიალის და მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია, ასევე ცხრა აპრილის ქუჩაზე არსებული მემორიალის რეაბილიტაცია, აფნისში სასაფლაოს შემოღობვა და სხვა.<br><br>**მიზანია:** მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა. | | | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწყობილია მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი სივრცე. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია** | | | კოდი<br>02 06 01 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **862,18** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |

| | |
|---|---|
| აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია.<br><br>ქვეპროგრამით დაგეგმილია ქარელში თამარ მეფის ქუჩაზე მემორიალის და მიმდებერედ სკვერის რეაბილიტაცია , ასევე ცხრა აპრილის ქუჩაზე არსებული მემორიალის რეაბილიტაცია აფნისში სასაფლაოს შემოღობვა, საქართველოს მთავრობის განკარგულება N1060 (29.07.2024წ.) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების „ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" გამოეყო აგარის კულტურის სახლის სრული რეაბილიტაციისთვის 250 206 ლარი და სხვა.<br><br>**მიზანია:** მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა. |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწყობილია მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი სივრცე. |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა** | | | კოდი<br>**02 07** |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **708,21** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნება ახალი პროექტები სამომავლო დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად.<br><br>შეძენილი იქნება ახალი პროექტები: ცერონისის და ავლევის სასმელი წყლის ჭაბურღილების მოსაწყობად. ასევე ბრეთში, რუისში, აგარაში და სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის ასფალტირების პროექტები და სხვა ღონისძიებები. **გაიზარდა** თანადაფინანსებით რომელიც შეადგენს 492 000<br><br>პროგრამა ასევე მოიცავს წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2023 წელს და რომლის თანხა შეადგენს 164,7 ათ. ლარს.<br><br>**მიზანია:** ახალი პროექტების შეძენა. მიმდინარე პროექტების დასრულება | | | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | შეძენილი და დასრულებული პროექტები. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **სოფლის პროგრამის მხარდაჭერა** | | | კოდი<br>02 08 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **2394,03** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | საქართველოს მთავრობის N2401(28.12.2023წ.) განკარგულებით, ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 940 000 ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.<br><br>პროგრამა გაიზარდა თანადაფინანსებით რომელიც შეადგენს 1 378 000<br><br>პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2023 წელს და რომლის თანხა შეადგენს 76031,7 ლარს.<br><br>მიზანი: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება | | | |

| | |
|---|---|
| | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მოწყობილია მოწესრიგებული, სუფთა და უსაფრთხო დასასვენებელი სივრცე. |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **ბიუჯეტში მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა** | | | კოდი<br>02 09 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **660.14** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | | |
| აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის.<br><br>საქართველო მთავრობის #1025 განკარგულების (23,07,2024წ) საფუძველზე ქარელის მუნიციპალიტეტს გამოეყო 360 143 ლარი, რომელიც მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებასთან ერთად (300 000 ლარი) მიიმართება მოქალაქეებთან გამართული კონსულტაციების შედეგად შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად<br><br>საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. | | | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | ადგილობრივ პროექტების შერჩევაში მეტი ჩართული და კმაყოფილი პასუხისმგებლიანი მოსახლეობა.<br>ჩართულ მოსახლეობასთან ერთად შერჩეული და განხორციელებული პროექტები | | | |

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

## კოდი (03 00)

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის

ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2024-2027 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია, ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკურ მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად, საჭიროა, ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას, როგორიცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლა-პატრონობა, გარემოს დასუფთავება, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვება, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა და სხვა.

ათ. ლარი

| კოდი | პრიორიტეტის დასახელება | 2022 წ<br>ფაქტი | 2023 წ<br>ფაქტი | 2024 წ<br>გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1 863,8 | 3081,10 | 3 706,90 |
| 03 01 | კაპიტალური დაბანდება დასუფთავების სფეროში | 111,0 | 1 191,47 | 1235,70 |
| 03 02 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 1 374,5 | 1483,16 | 1 642,50 |
| 03 03 | მწვანე ნარგავების, სკვერების, წყლის სისტემებისა და შადრევნების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 378,2 | 406,47 | 646,50 |
| 03 04 | მიუსაფარი ცხოველების პოპულაციების მართვა და | 0,0 | 0,0 | 182,20 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მონიტორინგი | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **კაპიტალური დაბანდება დასუფთავების სფეროში** | | | კოდი<br>03 01 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **1235,70** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | 2024 წელს იგეგმება სამი ცალი ნაგავმზიდი მანქანის შეძენა, რომლის ნაწილიც გადახდილია 2023 წელს. 2024 წელს მოხდება მთავრობის განკარგულებით 258.38 ათ ლარის, ხოლო ადგილობრივი შემოსავლებით 703,3 ათ ლარის გადახდა.<br><br>სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გეგმავს კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადებას ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვაზე. შეძენილი იქნება 100 ცალი ნაგვის ურნა, რომელიც განთავსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.<br><br>დაგეგმილია ექსკავატორ-დამტვირთავის შეძენა. **დაფინანსდება ასევე სხვა ღონისძიებები.**<br><br>პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2023 წელს და რომლის თანხა შეადგენს 97,5 ათ ლარს.<br><br>**მიზანია:** მუნიციპალიტეტის დასუფთავების უზრუნველყოფის ხელშეწყობა. | | | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | უზრუნველყოფილია მუნიციპალური ნარჩენების მართვა. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **დასუფთავება და ნარჩენების გატანა** | | | კოდი<br>03 02 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **1 642.50** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი" | | |
| აღწერა და მიზანი | ქარელის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი" უზრუნველყოფს ქ. ქარელში და დ. აგარაში ქუჩებში ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავების სამუშაოების ჩატარებას, ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნაგვის ნარჩენების მოგროვებასა და გატანას **და სხვა ღონისძიებებს**. ქალაქის გარდა სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალ 63 სოფელში. მუნიციპალიტეტში განთავსებულია 1577 სანაგვე ურნა, რომლის დაცლაც ხდება პერიოდულად. შეგროვებული ნარჩენები გროვდება ნაგავსაყრელზე.<br><br>**მიზანია:** დასუფთავების გამართული სერვისი - მყარი ნარჩენების მართვა. | | | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება. მუნიციპალური ნარჩენების მართვა და საზოგადოებრივი სივრცეების დაგვა/დასუფთავება. | | | |

ათ. ლარი

| | | |
|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **მწვანე ნარგავების, სკვერების, წყლის სისტემისა და შადრევანების მოვლა-პატრონობა,**<br><br>**განვითარება** | კოდი<br>03 03 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაფინანსება | 2024 წელი | | | |
| | 646.50 | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | ა(ა)იპ „ქარელის კეთილმოწყობის ცენტრი" | | |
| აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული და მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველი ხეების გადაბელვა, მოჭრა **და სხვა ღონისძიებები**. განხორციელდება ხე-მცენარეების, ყვავილების და სხვადასხვა ნარგავების დარგვა, ახალი გამწვანების ზონების შექმნა. შადრევნების და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, პარკების და სხვა საჯარო ადგილების მოვლა-პატრონობა. ასევე, სოფლებში წყლის სისტემის ტექნიკური (ტუმბოების შეკეთება განახლება) უზრუნველყოფა და იმ სასმელი წლის ჭაბურღილების ელექტრო ენერგიის გადასახადის გადახდა, რომლებითაც სარგებლობს სოფლების მოსახლეობა<br><br>**მიზანია:** გამწვანებული გაზონები, დასვენებისათვის მოწესრიგებული რეკრეაციული სივრცე , დაზიანებული და საფრთხის შემცველი ხეებისგან მოსახლეობის პრევენცია . სასმელი წყლის ჭაბურღილების სისტემისა და შადრევნის მოვლა-პატრონობა. | | | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | გამწვანებული და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა. ამორტიზირებული ხეებისგან დაცული მოსახლეობა, სასმელი წყლის ჭაბურღილების სისტემისა და შადრევნების გამართული ფუნქციონირება. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **მიუსაფარი ცხოველების პოპულაციების მართვა და მონიტორინგი** | | | კოდი |
| | | | | 03 04 |
| დაფინანსება | 2024 წელი | | | |
| | 182.20 | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო | | |
| აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში მოხდება მიუსაფარ ცხოველებთან ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა: შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით შინაური ცხოველების დაჭერა და დროებით თავშესაფარში განთავსება, მათზე სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება: ექიმ-ვეტერინარის ან კინოლოგის/ფელინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა, ვაქცინაცია, ოპერაციების ჩატარება, სიცოცხლესთან შეუთავსებელი მდგომარეობის მქონე ცხოველის ევთანაზია **და სხვა ღონისძიებები**<br><br>**მიზანია:** მიუსაფარი ცხოველების პოპულაციების მართვა და მონიტორინგი. | | | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | ადამიანისა და შინაური ცხოველების თანაარსებობისათვის შექმნილი უსაფრთხო გარემო. | | | |

## განათლება

## (კოდი 04 00)

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა შეიქმნას მყარი საფუძველი აღსაზრდელებისათვის სასკოლო განათლების მისაღებად. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება, სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება. აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად, ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, მოხდება ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

ათ. ლარი

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 3 463,3 | 4299,86 | 5423,67 |
| 04 01 | სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია | 246,3 | 182,78 | 442.67 |
| 04 02 | სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება | 2 594,6 | 3450,89 | 4028,20 |
| 04 04 | სკოლების მშენებლობა - რეაბლიტაცია და მოსწავლეების ტრანსპორტირება | 622.47 | 666.2 | 952,80 |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია** | | | კოდი 04 01 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **442.67** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვრო ბაღების რეაბილიტაცია და სტანდარტების შესაბამისი პირობები შექმნა.<br><br>პროგრამა მოიცავს ასევე წინა წლებში აღებულ ვადებულებებს რომლებიც ვერ დასრულდა 2023 წელს და რომლის თანხა შეადგენს 79,8 ათ ლარს. მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება სოფელ ბებნისის , ბრეთის მეურნეობის და სხვა საბავშო ბაღებს.<br><br>**მიზანია:** მუნიციპალიტეტში მოქმედ საბავშვო ბაღებში ინფრასტრუქტურის განვითარება და კეთილმოწყობა. | | | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შესაფერისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სკოლამდელი ასაკის ბავშვები, სტანდარტების შესაბამისი გარემო. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება** | | | კოდი 04 02 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **4 028,20** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | ა(ა)იპ „ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება“ | | |
| აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტში სულ 1000 სკოლამდელი ასაკის ბავშვია რეგისტრირებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს 24 საბავშვო ბაღი, რომელთა ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ "სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალიტეტის გაერთიანება". სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 343 თანამშრომელი, მათ შორის 64 აღმზრდელი და 64 თანაშემწე. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით, ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომის პირობების გაუმჯობესება, მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა ღონისძიებები.<br><br>**მიზანია:** სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობის უზრუნველყოფა. | | | |

| | |
|---|---|
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | ქარელის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შესაფერისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სკოლამდელი ასაკის ბავშვები, სტანდარტების შესაბამისი გარემო. |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **სკოლების მშენებლობა - რეაბლიტაცია და მოსწავლეების ტრანსპორტირება** | | | კოდი<br>**04 04** |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **952,80** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | პროგრამით გათვალისწინებულია 2024 წელს მოსწავლეების ტრანსპორტირების ხარჯები. სასწავლო დაწესებულებაში მიყვანა. დაკორექტირდა შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.<br><br>**მიზანია:** მოსწავლეების სასწავლო პროცესის ხელშეწყობა | | | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | სკოლის მოსწავლეებისთვის სწავლებისთვის გაუმჯობესებული გარემოს შექმნა | | | |

**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**

**კოდი (05 00)**

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია, ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ახალგაზრდების მრავალმხრივ განვითარებას და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული და კულტურული შესაძლებლობების გამოვლენა.

ათ. ლარი

| კოდი | პრიორიტეტის დასახელება | 2022 წ<br>ფაქტი | 2023 წ<br>ფაქტი | 2024 წ<br>გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი. | 4 266,3 | 3576,20 | 5552.46 |
| 05 01 | სპორტის სფეროს განვითარება | 3 342,7 | 2442,04 | 4279.06 |
| 05 01 01 | მშენებლობა რეაბილიტაცია სპორტის სფეროში | 2 328,6 | 971,49 | 2314.06 |
| 05 01 02 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 1 014,0 | 867,31 | 1319,00 |
| 05 01 03 | საცურაო აუზის მოვლა-პატრონობა | 0,0 | 483,70 | 510,00 |
| 05 01 04 | ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა | 0,0 | 119,54 | 136,0 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 875,7 | 1 072,40 | 1185.40 |
| 05 02 02 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 22,5 | 25,99 | 36,70 |
| 05 02 03 | ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა | 388,0 | 474,49 | 525,86 |
| 05 02 04 | ბიბლიოთეკების ხელშეწყობა | 44,5 | 55,10 | 53,62 |
| 05 02 05 | კულტურის ცენტრის ხელშეწყობა | 170,3 | 199,18 | 222,18 |
| 05 02 06 | მუზეუმების ხელშეწყობა | 34,5 | 42,54 | 47,87 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 05 02 07 | მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა | 47,1 | 54,18 | 61,92 |
| 05 02 08 | კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანებების ადმინისტრაცია | 55,0 | 91,02 | 99,14 |
| 05 02 09 | საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა | 18,7 | 21,23 | 23,12 |
| 05 02 10 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 90,0 | 90,0 | 90,0 |
| 05 02 11 | ტურიზმის განვითარება | 5,3 | 18,67 | 25,0 |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 47,9 | 61,75 | 88,0 |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **სპორტის სფეროს განვითარება** | | | კოდი |
| | | | | 05 01 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | 4 279.06 | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური.<br>ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ | | | |
| აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩართულობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამა, ასევე მოიცავს სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება/გაუმჯობესებას. ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარებას **და სხვა ღონისძიებებს.**<br>მიზანი: სპორტული განვითარების ხელმისაწვდომობა და ხელშეწყობა. | | | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის ჩართულობა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **მშენებლობა რეაბილიტაცია სპორტის სფეროში** | | | კოდი |
| | | | | 05 01 01 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | 2 314.06 | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | დაგეგმილია სპორტული მოედნის მშენებლობა-რეაბილიტაცია: ქვენაფლავში, ჭანდრებში და ქვემო შაქშაქეთში მინი სტადიონების მოწყობა. ასევე ბრეთის მეურნეობაში სპორტდარბაზის მშენებლობა და სხვა ღონისძიებები.<br>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საცურაო აუზის მიმდებარედ სატრენაჟორო სივრცის მოწყობა<br>მიზანია: მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი სპორტული ობიექტების აშენება/რეაბილიტაცია და სპორტული ინვენტარით აღჭურვა. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | | | კოდი<br>05 01 02 |
| დაფინანსება | 2024 წელი<br>1 319,0 | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ | | |
| აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში გამართულად იფუნქციონირებს ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ სხვადასხვა სპორტული აქტივობების ჩასატარებლად.<br><br>ჩატარდება სპორტის სხვადასხვა სახეობების სწავლებები: ფეხბურთის, ჭადრაკის, ჭიდაობის (ძიუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა), კიკბოქსინგის, ჯიუ-ჯიცუს, MMA შერეული ორთაბრძოლების, ხელბურთის, ფრენბურთის მიმართულებით. დაფინანსდება ზემოთ აღნიშნულ სპორტის სახეობებში სხვადასხვა ღონისძიებები და ტურნირები, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე რესპუბლიკური და საერთაშორისო მასშტაბით.<br><br>**მიზანია:** მასობრივი სპორტის სახეობების ხელშეწყობა, მოზარდების ჩართულობა სპორტულ სექციებში. წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტსმენების წახალისება. ა(ა)იპ-ის გამართული ფუნქციონირება. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩართული მოსახლეობა, ჩატარებული შეჯიბრებები. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | საცურაო აუზის მოვლა პატრონობა | | | კოდი<br>05 01 03 |
| დაფინანსება | 2024 წელი<br>510.0 | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ | | |
| აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება საცურაო აუზის მოვლა პატრონობის ხარჯებისა და გადასახადების გადახდა. დაფინანსდება სხვა ღონისძიებები.<br><br>მიზანია: მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი იყოს საცურაო აუზი და შენობაში არსებული სხვადასხვა სპორტული ინვენტარი. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | საცურაო აუზით და სპორტული ინვენტარით მოსარგებლე მოსახლეობა | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა | | | კოდი<br>05 01 04 |
| დაფინანსება | 2024 წელი<br>136,0 | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“ | | |
| | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება საფეხბურთო გუნდის დაფინანსება, რომელიც ხმარდება ფეხბურთელებისა და მწვრთნელების ხელფასებს, შეკრებებს, სამწვრთნელო პროცესს, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებას, ფუნქციონირებისათვის სხვა აუცილებელი ხარჯების დაფინანსებას **და სხვა ღონისძიებებს.** | | | |

| | |
|---|---|
| აღწერა და მიზანი | **მიზანია:** მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის ფეხბურთის ხელმისაწვდომობის გაზრდა. |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | საფეხბურთო გუნდის გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა/მოზარდთა ჩართულობა. |

ათ. ლარი

| პროგრამის დასახელება: | კულტურის სფეროს განვითარება | | | კოდი |
|---|---|---|---|---|
| | | | | 05 02 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **1 185,40** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | ეკონომიკური განვითარების სამსახური; ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“ | | | |
| აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება; კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავების ხელშეწყობა; განათლების დონის ინტელექტისა და კულტურის ამაღლება; კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია; შემოქმედებითი პროცესების სტიმულირება. მუნიციპალიტეტში კულტურისა და სახელოვნებო განათლების მიმართულებით პოლიტიკას განსაზღვრავს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახური.<br><br>**მიზანი:** კულტურის სფეროს გაუმჯობესება სხვადასხვა სახის კულტურული პროექტების ხელშეწყობა და დაფინანსება. | | | |
| **საბოლოო მოსალოდნელი შედეგი** | მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა. მუნიციპალიტეტში ხელშეწყობილია კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნება. | | | |

ათ. ლარი

| ქვეპროგრამის დასახელება: | კულტურის ღონისძიებების დაფინანსება | | | კოდი |
|---|---|---|---|---|
| | | | | 05 02 02 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **36.70** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“ | | | |
| აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დაინტერესებასა და სახელოვნებო განათლების განვითარებას, გაზრდის ჩართულობის.<br><br>**მიზანია:** ქარელის მუნიციპალიტეტში კულტურისა და სახელოვნებო განათლების განვითარება, სხვადასხვა კულტურულ - შემოქმედებითი ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის კულტურული ცნობიერების ამაღლება, კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაცია და განხორციელებული კულტურული პროექტები. | | | |

ათ. ლარი

| ქვეპროგრამის დასახელება: | ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა | | | კოდი |
|---|---|---|---|---|
| | | | | 05 02 03 |
| | **2024 წელი** | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაფინანსება | | | | |
| | 525.86 | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“ | | | |
| აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში სახელოვნებო განათლების მიმართულებით თავის საქმიანობას ახორციელებს ქარელის მუნიციპალიტეტში სამი სახელოვნებო სკოლა - ქარელის ხელოვნების სკოლა (ბრეთის მუსიკალური განყოფილებით), ნანული ღამბაშიძის სახელობის აგარის ხელოვნების სკოლა და რუისის ხელოვნების სკოლა. ხელოვნების სკოლებში სულ დასაქმებულია 68 თანამშრომელი, ხელოვნების სკოლებში ბავშვთა რაოდენობა 641-მდე მოსწავლეს შეადგენს; წლის განმავლობაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ აღნიშნული სკოლების მოსწავლეები. ხელოვნების სკოლებში ბავშვები სწავლობენ კლასიკურ და ხალხურ მუსიკას; ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე დაკვრას; სოლფეჯიოს, მუს-ლიტერატურას, ფოლკლორს, ხელოვნების ისტორიას. მონაწილეობენ საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში, აგრეთვე ადგილობრივ და სხვა ღონისძიებებში.<br><br>**მიზანია:** ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ახალგაზრდების დაინტერესება სხვადასხვა წრეებით, სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების მიერ ჩატარებული ღონისძიებები. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | მოზარდებში მუსიკალური და სახელოვნებო განათლების მიღება და ხელშეწყობა. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **ბიბლიოთეკების ხელშეწყობა** | | | კოდი |
| | | | | 05 02 04 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **53,62** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“ | | | |
| აღწერა და მიზანი | ქარელის ცენტრალური ბიბლიოთეკა ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის დაწესებულებების გაერთიანების ერთ-ერთი განყოფილებაა, ბიბლიოთეკა ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს.<br><br>წლის განმავლობაში განხორციელდება სხვადასხვა პროექტები: ერთად კითხვის საღამოები, ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები. განახლდება წიგნადი ფონდი და მოეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები წიგნის პოპულარიზაციის და ხელშეწყობის მიზნით.<br><br>**მიზანია:** მკითხველების წიგნებით უზრუნველყოფა და დაინტერესება. წიგნადი ფონდის განახლება. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის წიგნიერების ამაღლება, განახლებული წიგნადი ფონდი და წიგნის პოპულარიზაციის ზრდა. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **კულტურის ცენტრის ხელშეწყობა** | | | კოდი |
| | | | | 05 02 05 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **222,18** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“ | | | |
| | კულტურის ცენტრი თავის საქმიანობას განახორციელებს სხვადასხვა წრეების და შემოქმედებითი ჯგუფების საშუალებით; ქარელის მუნიციპალიტეტში ქარელის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს: მამაკაცთა ანსამბლი ,,ქარელი“ - 15 მამაკაცის შემადგენლობით, ხალხური საკრავების წრე (დოლი), ხალხური საკრავების წრე (ფანდური, სალამური),ხალხური სიმღერისა და ქართული გალობის შემსწავლელი წრეები, ბავშვთა დრამატული წრე, თოჯინების თეატრი, სამეჯლისო ცეკვები, | | | |

| | |
|---|---|
| აღწერა და მიზანი | ქორეოგრაფიული ანსამბლები ,,იბერიელები'' და ,,ქარელი'', დრამატული წრე, მოყვარულთა თეატრი, რომლის მიერ დადგმულ სპექტაკლებში მონაწილეობას იღებენ თავად კულტურის სახლის შემოქმედებითი ჯგუფები. კულტურის ცენტრში შემოქმედებით სახელოვნებო განათლებას ღებულობს და მიიღებს 500- ზე მეტი მოსწავლე.<br><br>წრეები და გუნდები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ და სხვადასხვა რეგიონულ, რესპუბლიკურ ფესტივალებში და ღონისძიებებში.<br><br>**მიზანია:** მრავალფეროვანი შემოქმედებითი წრეების შეთავაზებით მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა. მონაწილეობის მიღება მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებით ფესტივალებში და ღონისძიებებში. |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | კულტურული და შემოქმედებითი ცხოვრებით დაინტერესებული მოსახლეობა. კულტურის სახლების მიერ სრულიად არის დაკმაყოფილებული ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ და საესტრადო წრეებზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **მუზუმების ხელშეწყობა** | | | კოდი<br>05 02 06 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **47.87** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“ | | | |
| აღწერა და მიზანი | ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელშიც დაცულია 3000 ექსპონატი. იგი იცავს, იკვლევს და პოპულარიზაციას უწევს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებს, დასაქმებულია 8 თანამშრომელი. მუზეუმში ვიზიტორთა რაოდენობა წელიწადში საშუალოდ შეადგენს 3000 ერთეულს.<br><br>ქვეპროგრამის ფარგლებში შეძენილი იქნება ინვენტარი და ტექნიკა საკონფერენციო დარბაზისათვის. მოეწყობა სტელაჟები და თაროები ექსპონატებისათვის, მოლბერტები საგამოფენო სივრცისათვის, მოეწყობა ჩვენებები, შემოქმედებითი საღამოები, ისტორიის ვიქტორინები, კონფერენციები, წიგნის მკითხველთა კლუბი, **და სხვა ღონისძიებები.** მოხდება ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართვა მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებსა და ზოგადად თვითმმართველობის ცხოვრებაში.<br><br>**მიზანია:** მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობა, მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა. არსებული ექსპონატების დაცვა და ახლად აღმოჩენილი ექსპონატებით შევსება. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | დაცული და მოვლილი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა, მისი პოპულარიზაცია და მოსახლეობის დაინტერესების ზრდა. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა** | | | კოდი<br>05 02 07 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **61,92** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“ | | | |
| აღწერა და მიზანი | ქარელის მუნიციპალიტეტში, ქარელის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს მამაკაცთა ფოლკლორული გუნდი - ,,ქარელი“- 15 მამაკაცის შემადგენლობით, რომელიც აქტიურად იღებს მონაწილეობას კულტურის ცენტრის მიერ დაგეგმილ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ და სხვადასხვა რეგიონულ და რესპუბლიკურ ფესტივალებში და სხვა ღონისძიებებში, რითაც პოპულარიზაციას უკეთებს ქართულ ხალხურ მრავალხმიან სიმღერას ქარელის მუნიციპალიტეტში და მის ფარგლებს გარეთ.<br><br>**მიზანია:** არსებული ანსამბლის ფუნქციონირების ხელშეწყობა. ქართული ხალხური მრავალხმიან | | | |

| | |
|---|---|
| | სიმღერების პოპულარიზაცია. |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაცია. |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანებების ადმინისტრაცია | | | კოდი<br>05 02 08 |
| დაფინანსება | 2024 წელი | | | |
| | 99,14 | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“ | | | |
| აღწერა და მიზანი | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების" ადმინისტრაცია შედგება 8 თანამშრომლისგან, რომლების მართავენ და ორგანიზებას უწევენ გაერთიანებაში შემავალი განყოფილებების (აგარა, სოფელი რუისი , სოფელი ბრეთი და ქარელი) საქმიანობას და მათ ფუნქციონირებას. გაერთიანებას გამართულად ფუნქციონირებისთვის ესაჭიროება დასაქმებულთა შრომის, ოფისისა და სხვა მიმდინარე ხარჯების ანაზღაურება, რომელთა დაფარვა მოხდება ასიგნებების ფარგლებში.<br><br>**მიზანია:** ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების" განყოფილებების საქმიანობის ორგანიზება, მართვა. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანების“ გამართული ფუნქციონირება. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა | | | კოდი<br>05 02 09 |
| დაფინანსება | 2024 წელი | | | |
| | 23,12 | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“ | | | |
| აღწერა და მიზანი | საგამომცემლო საქმიანობის მიმართულებით დასაქმებულია 3 თანამშრომელი და წლის განმავლობაში გამოიცემა მუნიციპალური გამოცემა ,,ქარელის მოამბის'' 18 000 ეგზემპლარი. აღნიშულ გაზეთში შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული, კულტურული, სოციალური და სხვა სიახლეები, ასევე მოსახლეობის პრობლემები და მიღებული სამართლებრივი აქტები. ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება საგამომცემლო საქმიანობა, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებას და ჩართულობას მუნიციპალიტეტის საქმიანობაში **და სხვა ღონისძიებებში.**<br><br>**მიზანია:** მოსახლეობის ინფორმირებულობა, დაინტერესების ზრდა, ცნობადობის ამაღლება და ჩართულობის გაზრდა. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | ინფორმირებული და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართული მოსახლეობა. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | | | კოდი<br>05 02 10 |
| | 2024 წელი | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაფინანსება | | | | |
| | 90.0 | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“ | | | |
| აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება რელიგიური ორგანიზაციების საკულტო შენობა-ნაგებობების აღდგენისა და რეაბილიტაციის სამუშაოები, ასევე სხვა საქმიანობისათვის ფინანსური დახმარება, რითაც ხელი შეეწყობა რელიგიურ-კულტურული ობიექტების მოვლა-შენახვას და **სხვა ღონისძიებებს**, რაც თავის მხრივ განაპირობებს ტურიზმის განვითარებას მუნიციპალიტეტში.<br><br>**მიზანია:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის, ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | აღდგენილი და რეაბილიტირებული რელიგიურ-კულტურული ობიექტები, დაფინანსებული რელიგიური ღონისძიებები. პილიგრიმი ტურისტების გაზრდილი რაოდენობა. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **ტურიზმის განვითარება** | | | კოდი |
| | | | | 05 02 11 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **25.00** | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“ | | | |
| აღწერა და მიზანი | ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მიერ ტურისტებისთვის შეთავაზებული პროდუქტი იქნება: ინფორმირება მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული დანიშნულების ობიექტების შესახებ, როგორიცაა: განთავსებისა და კვების ობიექტები, სატრანსპორტო საშუალებები და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმოსვლის განრიგი, მუზეუმები, გალერეები, ღვინის საწარმოები, ღვინის მარნები, ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობებისა და ტურისტული ადგილების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, საკურორტო ადგილებისა და სხვათა შესახებ, ტურისტების ინტერესებიდან გამომდინარე, ტურისტული მარშრუტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ტურის დაგეგმვაში დახმარება, ინფორმაციის მიწოდება მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებებისა და ფესტივალების შესახებ (ეროვნული, კულტურული, გასართობი, სპორტული და სხვა); ბეჭდვითი მასალის გავრცელება (რეგიონისა და ქალაქის რუკები, ბროშურები, გზამკვლევები და სხვა) **და სხვა ღონისძიებები.**<br><br>**მიზანია:** მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა, განვითარება და პოპულარიზაცია. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | ხელშეწყობილია ადგილობრივი ტურიზმის განვითარება და შექმნილია პირობები , როგორც ადგილობრივი -ასევე უცხოელი ტურისტების მოსაზიდად. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **ახალგაზრდობის მხარდაჭერა** | | | კოდი |
| | | | | 05 03 |
| დაფინანსება | **2024 წელი** | | | |
| | **88.00** | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | ა(ა)იპ „ქარელის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“ | | | |
| აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლითაც შესაძლებელი იქნება ახალგაზრდული ინიციატივების, ინოვაციური იდეების მხარდაჭერა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ჩართულობა მასობრივ ღონისძიებებში. ჩატარდება თემატური ფესტივალები, გასართობი, შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობები. მოეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, ლაშქრობები და სხვა ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია შშმ პირებს მონახულება, მათი ჩართულობა სხვადასხვა აქტივობებში. | | | |

| | |
|---|---|
| | პროგრამის მიზანია: ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა ღონისძიებებში, მათი უნარების რეალიზაცია და საქმიანობის სტიმულირება. |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | ღონისძიებებში ჩართული მეტი ახალგაზრდა და მხარდაჭერილი ინციატივები. |

## ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

## (კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი, არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ასევე, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, გაგრძელდება სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს, არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

(ათ.ლარი)

| პრიორიტეტის კოდი | პრიორიტეტის დასახელება | 2022 წ ფაქტი | 2023 წ ფაქტი | 2024 წ გეგმა |
|---|---|---|---|---|
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1 282,79 | 1184,17 | 1990,55 |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 107,25 | 142,15 | 348,96 |
| 06 02 | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 1 175,54 | 1042,01 | 1641,60 |
| 06 02 01 | გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა | 85,00 | 90,00 | 100.0 |
| 06 02 02 | მოსახლეობის მკურნალობა | 765,32 | 666,61 | 930,90 |
| 06 02 03 | მრავალშვილიან ოჯახებში ახალშობილთა დახმარება | 96,40 | 89,20 | 99.0 |
| 06 02 04 | ცელიაკიით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა დახმარება | 34,00 | 43,89 | 50,00 |
| 06 02 05 | სტუდენტების სოციალური დახმარება | 28,00 | 23,35 | 25,00 |
| 06 02 06 | შშმ პირების დახმარება | 33,00 | 18,00 | 25,20 |
| 06 02 07 | მკვეთრად გამოხატული (ტოტალური) უსინათლოების დახმარება | 29,60 | 29,20 | 40.0 |
| 06 02 09 | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდი ვეტერანების დახმარება | 3,00 | 2,70 | 6,50 |
| 06 02 10 | 100 წელს გადაცილებულ უხუცესთა დახმარება | 3,00 | 2,00 | 1,00 |
| 06 02 11 | დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება | 6,00 | 5,00 | 6,00 |
| 06 02 12 | უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების მიცვალებულის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურეობის დაფინანსება | 10,15 | 6,30 | 10,50 |
| 06 02 13 | ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება | 0,50 | 1,00 | 2,00 |
| 06 02 14 | სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება | 69,57 | 51,76 | 309.0 |
| 06 02 15 | ცერებრალური დამბლის მქონე პირთა დახმარება | 11,00 | 13,00 | 16,00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06 02 17 | ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| 06 02 18 | ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა | 0,00 | 0,00 | 20,50 |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება** | | | კოდი<br>06 01 |
| დაფინანსება | **2024 წელი**<br>348,96 | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | | ა(ა)იპ "ქარელის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი" | | |
| აღწერა და მიზანი | აღნიშნული პროგრამა არის კანონმდებლობით გათვალისწინებული დელეგირებული ფუნქცია, რომლისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა მიზნობრივი ტრანსფერი. პროგრამა მოიცავს: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლს, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფას სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვებას და წარდგენას დკსჯე ცენტრში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელებას, დაავადებათა ადრეულ გამოვლენასა და პროფილაქტიკას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას ეპიდსაშიშროებისას, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას, პარაზიტული დაავადებების პირველად ეპიდკვლევას, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის, სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობას და შერჩევითი კონტროლის განხორციელებას. სანიტარიულ ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი სკოლებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და "C" ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, თამბაქოს კონტროლის მონიტორინგს და კანონით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს. გაეზარდა დაფინანსება ლაბორატორიის მოსაწყობად.<br><br>**მიზანია:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის (EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით. | | | |
| საბოლოო მოსალოდნელი შედეგი | ჯანმრთელი მოსახლეობა, თავიდან აცილებული სხვადასხვა დაავადებები და ეპიდემიები. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება: | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | | | კოდი<br>06 02 |
| დაფინანსება | 2024 წელი<br>1641.60 | | | |
| პროგრამის განმახორციელებელი: | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური.<br><br>ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური. | | | |
| აღწერა და მიზანი | პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, სხვადასხვა ფენებისათვის, გარკვეული დახმარებებით უზრუნველყოფა, რაც გააუმჯობესებს მოსახლეობის როგორც ჯანმრთელობის, ასევე სოციალურ მდგომარეობას. მოსახლეობის საჭიროებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 16 პროგრამა.<br><br>**მიზანია**: **მოსახლეობის დახმარება მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამებით.** | | | |
| **საბოლოო მოსალოდნელი შედეგი** | მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა** | | | კოდი<br>06 02 01 |
| დაფინანსება | 2024 წელი | | | |
| | 100.0 | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური | | | |
| აღწერა და მიზანი | უფასო სასადილოების კვების პროგრამით ისარგებლებს ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უმწეო ოჯახების 90 ბენეფიციარი, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000 ქულას. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებენ უკვე რეგისტრირებული ბენეფიციარები, ხოლო ადგილის გათავისუფლების შემთხვევაში (გარდაცვალება, უარის თქმა პროგრამაზე, სარეიტინგო ქულის მომატება, ზედიზედ (14 დღე) არ გამოცხადება, რეგისტრაციის ადგილის შეცვლა (სხვა მუნიციპალიტეტში გადასვლა) და სხვა), ჩანაცვლება განხორციელდება სარეიტინგო ქულის, მრავალშვილიანობის და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ყოველდღე, დღეში ერთხელ, დასვენების დღეების გარეშე.<br><br>**მიზანია:** გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | დღეში ერთხელ კვებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **მოსახლეობის მკურნალობა** | | | კოდი<br>06 02 02 |
| დაფინანსება | 2024 წელი | | | |
| | 930,90 | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | საქართველოში მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სხვადასხვა სახისა და მოცულობის, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო პროგრამები. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილება, ,,საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ" რომელიც ძალაშია 2013 წლის 28 თებერვლიდან, მოიცავს მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას, სადაც დეტალურად გაწერილია ყველა სერვისი, რომელსაც ანაზღაურებს სახელმწიფო. აღნიშნული დადგენილების მოქმედების სფეროში ვერ ხვდება ზოგიერთი დაავადების მკურნალობის ღირებულების სრული ანაზღაურება, რაც დღეის მდგომარეობით, მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის საკმაოდ მძიმე ტვირთია. აქედან გამომდინარე, ქარელის მუნიციპალიტეტში დამუშავდა მოსახლეობის მკურნალობის დაფინანსების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მკურნალობის, ოპერაციის, ან გამოკვლევის ღირებულების აუნაზღაურებელი ნაწილის თანადაფინანსებას 40%-ით, მაგრამ არა უმეტეს 4000 ლარისა, წლის განმავლობაში ერთჯერადად. არ დაფინანსდება კოსმეტიკური პროცედურები (გარდა ფაკიური ლინზის გადანერგვისა; რეფრაქციული ანომალიის კორექციისა ექსიმერული ლაზერით - LASIK მეთოდი), ბარიატრიული ოპერაციები 150 000 ქულის ზემოთ; ექიმის ჰონორარი.<br><br>იმ კარდიოლოგიურ მომსახურებაზე, რომელიც ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ "საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების ფარგლებში, თანადაფინანსება მოხდება სახელმწიფოს მიერ ამ დადგენილებით განსაზღვრული ტარიფის მიხედვით აუნაზღაურებელი ნაწილის 40%-ით.<br><br>იმ ბენეფიციარებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულაა 0-დან 120 000 ქულის ჩათვლით და, რომელთა მკურნალობის, ან ოპერაციის ღირებულების აუნაზღაურებელი ნაწილი არ აღემატება 300 ლარს, დაფინანსება განხორციელდება 100%-ით, ხოლო თუ თანხა აღემატება 300 ლარს, ემატება 300 ლარს ზემოთ დარჩენილი თანხის 40 %-ი, წლის განმავლობაში ერთჯერადად.<br><br>დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, | | | | |

| | |
|---|---|
| | აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები).<br><br>დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: განცხადება, ანგარიშფაქტურა, წინასწარი კალკულაცია (რომელიც უნდა შეიცავდეს ორგანიზაციის რეკვიზიტებს), ფორმა 100, პაციენტისა და განმცხადებელის პირადობის მოწმობის ასლი და/ან სხვა დოკუმენტი - საჭიროების შემთხვევაში".<br><br>**მიზანია:** მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | უფრო მეტად ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება. |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **მრავალშვილიან ოჯახებში ახალშობილთა დახმარება** | | | კოდი<br>06 02 03 |
| დაფინანსება | 2024 წელი | | | |
| | 99,00 | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | მრავალშვილიან ოჯახებში, ახალშობილთა დახმარების ქვეპროგრამა ითვალისწინებს იმ ოჯახების ერთჯერადფინანსურ დახმარებას, რომელთაც ოჯახებში შეეძინათ მესამე და ყოველი მომდევნო შვილი. ქვეპროგრამის მიხედვით, ოჯახს გაეწევა შემდეგი დახმარება: მესამე შვილის დაბადების შემთხვევაში 600 ლარი. მეოთხე შვილის დაბადების შემთხვევაში 800 ლარი. მეხუთე შვილის დაბადების შემთხვევაში 1000 ლარი, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 1000 ლარზე 200-200 ლარის დამატებით. ტყუპების შემთხვევაში ინდივიდუალურად, რიგითობის გათვალისწინებით. დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები(დევნილები).<br><br>2023 წლის დეკემბრის თვეში მრავალშვილიან ოჯახებში დაბადებულ ახალშობილთა დახმარება (ანაზღაურების გაცემა) შესაძლებელია 2024 წლის პირველ თებერვლამდე.<br><br>დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: განცხადება, ბავშვის(ბავშვების) დაბადების მოწმობები, მშობლების/მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, განმცხადებლის (მშობელი) საბანკო რეკვიზიტები, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.<br><br>**მიზანია:** ბავშვის დაბანდებასთან დაკავშირებით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | დახმარება გაწეული მრავალშვილიანი ოჯახები. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **ცელიაკიით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით**<br><br>**მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა**<br><br>**დახმარება** | | | კოდი<br>06 02 04 |
| დაფინანსება | 2024 წელი | | | |
| | 50,00 | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური | | |
| | ფენილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულებს ესაჭიროებათ განსაკუთრებული საკვებით კვება, ხოლო თირკმელის ჩანაცვლებით მკურნალობაზე მყოფ პირებს უწევთ სასიცოცხლოდ აუცილებელი პროცედურის ჩატარება სპეციალიზირებულ დაწესებულებაში. აღნიშნული დაავადებები წარმოადგენენ ისეთი დაავადებების ნოზოლოგიას, რომელთაც ესაჭიროებათ განსაკუთრებული მკურნალობა. | | | |

| | |
|---|---|
| აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, ცელიაკიით, აგრეთვე ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარებისათვის საკვებით დახმარებას, წლის განმავლობაში, თითოეულზე არა უმეტეს 2000 ლარისა, რომელიც საჭიროა შესაბამისი სახეობის საკვების შესაძენად, ხოლო თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე მყოფ პირთათვის, ფინანსურ დახმარებას - წელიწადში ერთჯერადად 1000 ლარის ოდენობით - გადაადგილებისათვის.<br><br>დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, მათ შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები(დევნილები).<br><br>დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: ცელიაკიით ან/და ფენილკეტონურიით დაავადების შემთხვევაში: განცხადება, წინასწარი ინვოისი, ფორმა 100, პაციენტის და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლები, საბანკო რეკვიზიტები, საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებითი დოკუმენტაცია. თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობის (ჰემოდიალიზის) შემთხვევაში: განცხადება, ფორმა 100, პაციენტისა და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლები, საბანკო რეკვიზიტები, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.<br><br>**მიზანია:** ცელიაკიით, ფენილკეტონურიით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა დახმარება. |
| **შუალედური მოსალოდნელი შედეგი** | დახმარებაგაწეული ბენეფიციარები. |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **სტუდენტების სოციალური დახმარება** | | | კოდი<br>06 02 05 |
| დაფინანსება | 2024 წელი<br>25,00 | | | |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი: | | ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური | | |
| აღწერა და მიზანი | დახმარებას მიიღებენ: ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალდაკარგული სტუდენტები, პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, პირველი ჯგუფის შშმ პირთა სტუდენტი შვილები, მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის სტუდენტი შვილები, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში რეგისტრირებული (რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 50 000-მდე ქულის ჩათვლით) მოქალაქეთა სტუდენტი შვილები, რომლებიც სწავლობენ საქართველოში რეგისტრირებულ აკრედიტირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (კოლეჯი, პროფესიული სასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებელში ბაკალავრიატი, რეზიდენტურა, ან მაგისტრატურა).<br><br>ქვეპროგრამა ითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებზე წლიურად სწავლის გადასახადის ერთჯერადად დაფინანსებას 500 ლარის ოდენობით.<br><br>სტუდენტების სოციალური დახმარების მისაღებად მოქალაქის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას: განცხადება, სწავლის დამადასტურებელი ცნობა აკრედიტებული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, განმცხადებლის/სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლ(ებ)ი, სასწავლებლის საბანკო რეკვიზიტები, მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობის ასლ(ებ)ი, პირველი ჯგუფის შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან სარეიტინგო ქულათა ამონაწერი, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტები.<br><br>**მიზანია:** მარჩენალდაკარგული, პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის და სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტების წლიურად ერთჯერადი დახმარება. | | | |
| შუალედური მოსალოდნელი შედეგი | სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა. | | | |

ათ. ლარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება: | **შშმ პირების დახმარება** | | | კოდი<br>06 02 06 |
| | 2024 წელი | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დაფინანსება | | | | |
